



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ASSEMBLY MUNICIPALITY OF GARDABANI



განკარგულება:გ-19. 1925177001

თარიღი:26/06/2025

განკარგულება №58

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, 9 ერთეულ გარე განათების ქსელში მყოფ საყრდენებზე (ბოძი), ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გატარების მიზნით, საყრდენი წერტილების სს „სილქნეტისთვის“, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 4 ივნისის №18-1825155102 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 9 (ცხრა) ერთეულ გარე განათების ქსელში მყოფ საყრდენზე, სოფლებში: მარტყოფი - ს/კ 81.10.17.916-ის მიმდებარედ- 1 ერთეული ბოძი, კრწანისი: ს/კ 81.04.03.001-ის მიმდებარედ - 3 ერთეული ბოძი, ს/კ 81.04.03.440-ის მიმდებარედ - 5 ერთეული ბოძი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების გატარების მიზნით, საყრდენი წერტილები, იჯარის ფორმით გადასცეს სს „სილქნეტს“, 2 (ორი) წლის ვადით.

მუხლი 2

საყრდენზე (ბოძი) ერთი წერტილის ყოველწლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 5 (ხუთი) ლარით, შესაბამისად, 9 (ცხრა) საყრდენ (ბოძი) წერტილზე ყოველწლიური საიჯარო ქირის ღირებულება შეადგენს 45 (ორმოცდახუთი) ლარს.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

